ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №19

ქ. თბილისი 20 ნოემბერი 2014წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემია" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაალ კაპანაძის სახით, მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ჯეოსპორტი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ზვიადაძის სახით, ხოლო ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც "მხარეები" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემია"-ს მიერ **გაფორმებასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV-79933000)** შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება **60 (სამოცი) ლარის ოდენობით.**
3.3 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, მათ შორის, დამატებითი ღირებულების გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის სასარგებლოდ განახორციელოს სპორტული მაისურების გაფორმება ხელშეკრულების პირობების და დანართი №1-ის შესაბამისად.
4.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო ასეთი შეთანხმების არ არსებობობის შემთხვევაში შესყიდვის განხორციელების მიზნის შესაბამის ხარისხს.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ხარვეზი.
4.5 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობისა და ფორმის შესაბამისად.
4.6 მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება საურავის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
4.7 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

5. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და ადგილი

5.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის სასარგებლოდ ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე უნდა გაწიოს მომსახურება.
5.2 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება – ჩაბარების აქტი და სხვა...) სრული მოცულობით გაფორმების შემდეგ.
5.3 მომსახურების გაწევისას, საქონლის დაღუპვაზე, გაფუჭებაზე და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შესაძლო რისკებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო მომსახურების გაწევის შემდეგ აღნიშნული ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს.
5.4 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 დღის ვადაში.
5.5 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წყარო და ვადები

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემია"-ს საბიუჯეტო სახსრები 2014 წლის ასიგნებების ფარგლებში.
6.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება მომსახურების გაწევიდან 10 კალენდარული დღის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს „საკალათბურთო კლუბ შსს აკადემია"-ს მენეჯერი ვახუშტი ცინცაძე.
7.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
7.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული მომსახურების მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხთან, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საერთაშორისო და საქართველოში არსებულ ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი.
7.5 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით ფორმით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
7.6 იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად დადგინდება გაწეული მომსახურების ხარისხის შეუსაბამობა ამ მუხლით გათვალისწინებულ სტანდარტებთან, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს წუნი გონივრულობის ფარგლების გათვალისწინებით უმოკლეს ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობის არსებობით.
8.2 ფორს–მაჟორულ მდგომარეობად ითვლება წინასწარ განუსაზღვრელი ნებისმიერი გარემოების არსებობა, რომელიც მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო წარმოადგენს დაუძლეველ ძალას (სტიქიური უბედურება, საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემია, კარანტინი და სხვა) და შეუძლებელს ხდის მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
8.4 მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

10.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმებით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 მხარეებს შორის ყველა დავა და უთანხმოება, წარმოქმნილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.
11.2. თუ მოლაპარაკების შედეგად მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

12. დასკვნითი დებულებები.

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების გაფორმების საშუალებით.
12.3 შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და იგი წარმოადგეს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
12.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
12.5 ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით და ეხება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არსებულ ურთიერთობას, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.
12.6 ხელშეკრულება ფორმდება 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლიარად. ერთი ეგზემპლიარი განკუთვნილია მიმწოდებლისთვის, ხოლო მეორე – შემსყიდველისთვის.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემია"
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ.№1
საიდ/კოდი 400005187
სს „ბაზისბანკი"
ბ/კ CBASGE22
ა/ა GE59BS0000000034431

დირექტორი _____

ზ. კაპანაძე

ბ. ა.

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ჯეოსპორტი"
თბილისი, შეშელიძის ქუჩა №38
ტელ: 2 623 628, 599 56-18-49
საინდ/ კოდი 205272989
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი BAGAGE22
ა/ა GE83BG0000000262769600

დირექტორი _____

მ. ზვიადაძე

ბ. ა.

ხელშეკრულება # 19
დანართი #1

ქ. თბილისი *20/11/2014*

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდ.	ერთ.ფასი	ჯამი
1	გაფორმება (ლოგო)	ცალი	2	2.5	5
2	გაფორმება (ნომერი ოატარა)	ცალი	2	3	6
3	გაფორმება (წარწერა ზურგზე)	ცალი	4	4	16
4	გაფორმება (გვარი)	ცალი	4	5	20
5	გაფორმება (ნომერი დიდი)	ცალი	2	6.5	13
			სულ ჯამი		**60.00**

შემსყიდველი: *მიმწოდებელი:*